



25.03.2014 18:38

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
  - [პოლიტიკა](#)
  - [საზოგადოება](#)
  - [ადამიანის უფლებები](#)
  - [განათლება](#)
  - [ეკოლოგია](#)
  - [კულტურა](#)
  - [ეკონომიკა](#)
  - [ტექნოლოგიები](#)
  - [სპორტი](#)
- [სტატეები](#)
- [მულტიმედია](#)
- [მედია](#)
- [ვაკანსიები](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [სტატეები](#) » არასამთავრობოების მიმართვა კულტურის სამინისტროს საყდრის საბაღოსთან დაკავშირებით

# არასამთავრობოების მიმართვა კულტურის სამინისტროს საყდრის საბაღოსთან დაკავშირებით

2014.03.18 | 13:55

Like 4 people like this. Be the first of your friends.

0

0



არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს კულტურის სამინისტროს მოუწოდებენ, დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შპს „RMG Gold“-ს საყდრისის ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოების უფლება მიეცა. ამასთან, არასამთავრობოები სამინისტროსგან ითხოვენ გამოაქვეყნოს ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რის საფუძველზეც აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღეს.

„როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 14 მარტს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სამინისტრომ შპს „RMG Gold“-ს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შესაბამისი სამუშაოების წარმოების უფლება მისცა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არ გაუსაჯაროვებია მიღებული გადაწყვეტილება და მხოლოდ სამინისტროს ვებგვერდზე გავრცელებული მცირე განცხადებით შემოიფარგლა. ამასთან, განცხადებაში აღნიშნული გარემოებები კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენს, საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობის შესახებ. შესაბამისად, განცხადების ხელმოწერი ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომ უაღრესად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდზე საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული ის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შპს „RMG Gold“-ს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შესაბამისი სამუშაოების წარმოების უფლება მისცა. ასევე, გამოაქვეყნოს ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც სამინისტროს მხრიდან გადაწყვეტილების მიღების საფუძველად იქნა გამოყენებული“, - აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „მწვანე ალტერნატივა“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და

მონიტორინგის ცენტრი“ (EMC).

14 მარტს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ საყდრისი-ყაჩაღიანში უძველესი ოქროს მადაროს ან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის არსებობა არ დადასტურდა.

„არსებული მრავალრიცხოვანი დოკუმენტისა და საექსპერტო შეფასებების ანალიზზე დაყრდნობით სააგენტომ მოამზადა დასკვნა, რომლის მიხედვითაც საყდრისი-ყაჩაღიანში არ დადასტურდა უძველესი ოქროს მადაროს ან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის არსებობა.

სახელმწიფოს შეუძლებლად მიაჩნია, მითზე დაფუძნებით ხელი შეუშალოს ათასობით ადამიანის დასაქმებას და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

სამინისტროს გადაწყვეტილებით მოწვეული იქნებიან საერთაშორისო რეპუტაციის მქონე დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან“ ერთად მონიტორინგს გაუწევენ კომპანია „RMG Gold“-ის მიერ წარმოებულ სამუშაოებს. მადაროს მიდამოებში რაიმე აღმოჩენის შემთხვევაში, სააგენტო ჩაატარებს შესაბამის კვლევებს და კომპეტენტური კომისიის დასკვნის შემდეგ საჭიროების მიხედვით არტეფაქტები განთავსდება ან არსებულ მუზეუმში, ან ამ დანიშნულებით სპეციალურად შექმნილ ახალ დაწესებულებაში“, - აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

საყდრისის ოქროს მადარო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში 2006 წელს შეიტანეს და მას ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას 2013 წლის 05 ივლისის 03–108–ე ბრძანებით, მას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი გაუუქმდა. 2013 წლის 9 ოქტომბერს, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, საყდრისში სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონაც გაუქმდა.

2014 წლის 7 იანვარს, კომპანია „RMG Gold“-მა საყდრისის ოქროს მადაროს ტერიტორიაზე სამუშაოები უნებართვოდ დაიწყო. ეროვნული მუზეუმის არქეოლოგის გოდერძი ნარიმანიშვილის თქმით, [ძეგლი დაზიანებულია და საბაღოს უნიკალური ნაწილი, რომელიც გერმანელმა მეცნიერებმა შეისწავლეს, მონგრეულია.](#)


ძეგლთა დაცვის სპეციალისტებს კომპანია RMG–ის დაცვის სამსახურის წარმომადგენლები მონიტორინგის მიზნით ტერიტორიაზე არაერთხელ არ შეუშვეს, რაც დარღვევაა, თუმცა პოლიციამ ოფიციალური მიმართვის მიუხედავად რეაგირება არ მოახდინა.

[გერმანელი პროფესორების დასკვნით, საყდრისი წარმომადგენს მსოფლიოში უძველეს ოქროს მაღაროს](#), უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც იმსახურებს, როგორც დაცვას, ასევე მომავალ კვლევებს.

14 იანვარს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, RMG Gold-ს, საყდრისის საბადაოს ტერიტორიაზე, ბორცვზე მდებარე არქეოლოგიურ ობიექტზე წიაღისეულის მოპოვების და სხვა სახის სამუშაოების განსახორციელებლად [ნებართვა არ მისცა](#).

კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე [მიზანდარი აცხადებდა, რომ „საყდრისი არის მსოფლიოში დღემდე არსებული და აღმოჩენილი უძველესი ოქროს მაღარო](#). „ამაზე ძველი ოქროს მაღარო არ მოგვეპოვება მსოფლიოში. ეს არის არამხოლოდ ჩვენი მეცნიერების, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო წრის მიერ აღიარებული და დადასტურებული უმნიშვნელოვანესი ძეგლი“. ამ განცხადების შემდეგ პრემიერ – მინისტრმა [მარინე მიზანდარი თანამდებობიდან გაათავისუფლა](#).

Like 4 people like this. Be the first of your friends.

 0  
 0  
